N 1015/02
12/02/2024

1015-02-2-202402121028

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს
ბატონ ელგუჯა ბაგრატიონს

ბატონო ელგუჯა,

გაცნობებთ, რომ თქვენი 2024 წლის 8 თებერვლის N09-02-16/74 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს სხვადასხვა უწყების კომპეტენციის სფეროს, რომლებიც კომპლექსურად და კოორდინირებულად მოქმედებენ მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის განსაზღვრისა და მასზე დაუყოვნებლივ რეაგირების მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N504 დადგენილებით დამტკიცებულია სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა, რომელიც განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მისთვის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების წარმართვის წესს.

მითითებული გეგმა ითვალისწინებს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკების, მუნიციპალიტეტების ორგანოების და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების თანამშრომლობასა და თანამოქმედებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან თანამშრომლებით, უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, პრევენციული ღონისძიებებისა და პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, ასევე, ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის განსაზღვრისა და მასზე რეაგირების მიზნით.

რაც შეეხება წერილით მოთხოვნილ სხვა ინფორმაციას, კომპეტენციის მიხედვით, უნდა მიმართოთ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს.

პატივისცემით,

ჯაბა სურმანიძე

მთავრობის აპარატის უფროსი

https://edocument.ge/AdjaraGov/public1015-02-2-202402121028